№ 234 სამშაბათი, 11 ივნისი 1918 წ. № 234

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ტფილისში გერმანიის ჯარი ჩამოვიდა.—სად[...]რალში ოსმალოს ჯარისკაცებმა ქართველი ა[...] [...]ტეს.—ოსმალეთის მთავრობა ნებას აძლევს სომხის ლტოლვილებს უკან დაბრუნდნენ, გარდა ყარსის ოლქებისა.—საოლქ. ცენტრმა, ალმ. კომიტეტმა და წით. გვარდიის შტაბმა დაადგინეს, რომ მთელი უფლება-მართველობა უნდა იქნეს მხოლოდ მთავრობის ხელში.

ხელმოწერის ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 60 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—60 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ჩარჩოში დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მანეთ., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

უცხოეთ განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Саkмe", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ელენე ალექსანდრეს ასული სავანე-ლისა შვილებით, ალექსანდრე და სოფიო, ძმები და დები, მწუხა-რებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ, ოთხშაბათს, ივნისის 12-ს გარდაცვლილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანა-შვიდი მათი განსვენებულის

გიორგი მიხეილის ძის სავანელის

სულის მოსახსენებლად. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 614

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, შვილები მიშა და სონია, ძმისწული დარიკო, [...] აუწყე-ბენ ნათესავთა და ნაცნობთ

ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის ხერხეულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ საღამოს 7 საათზე, გა-მოსვენება (ნაძალადევი, პარკოვსკი ქ., 27). ხუთშაბათს დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 609

კოოპერატიული კახური ღვინო

მევენახეთა

„კახელ კავშირთ-კავშირი"

მთავარი კანტორა გოლოვინის პრ. № 33 ტელ. 4—02.

განყოფილებები ტფილისში:

1. ოლღას ქუჩა № 40.
2. ერევნის მოედანი, ქარვასლა, მომხმარებელი საზოგადოება „დახმა-რება".
3. მიხეილის ქუჩა № 49 ტელეფ. 13—26. 607

ქართული კლუბი

სამშაბათს 11 ივნისს,

ორკესტრის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება ახალი ოპერა რ. გოგნიაშვილისა

ქრისტინე

3 მოქ. და 4 სურათად.

დირიჟორი ნიკო ქართველი.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა-თამაში ბალეტმეისტერი ს. ვაკა-რეცის ლოტბარობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. 1186 დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ

ოთხშაბათს, 12 ივნისს 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება:

ნამუსისათვის

დრამა 4 მოქ. შირვანზადესი თარგმ. კ-ნის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, ს. რომანიშვილი-დადეშქელიანისა, ვ. მარჯანიშვილი, ნ. ნინონი, ბ. ბ. ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ალ. შერვაშიძე?, ი. მინდიაშვილი და ჭანკვეტაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40 დან 35 კ.-დე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დ[...] შესვლა აკრძალულია.

რეჟ. ქ. შათირიშვილი. თეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. 608

საზოგადოება „იმედი"-ს

სასადილო

ძველი სემინარიის შენობა; პუშკინის სკვერის პირდაპირ.

გაუმჯობესებულია სამზარეულო,

ღირსეულ ხარისხოვანი საწოვები, ამზადებენ ვახშამს, რუმინელთა სიმებიანი ორკესტრი საღამოს 8 ნახ.—12 ნახ. საათამდე. 551

სახაზინო თეატრი

კვირას, 16 ივნისს

ქართველ მსახიობთა კავშირი მსახიობ

ვიქტორ გამყრელიძის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს

სადღესასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I ი. გედევანიშვილის

მსხვერპლი

ორი მოქმედება.

II ა. ცაგარლის

რაც გინახავს ვეღარ ნახავს

ერთი მოქმედება.

წარმოდგენას დასდგამს რეჟისორი კ. შათირიშვილი.

დასაწყისი საღ. 9 საათზე.

შემოწირულებანი და მილოცვები [...] ქართველ მსახიობთა კავშირის კანტორაში.

[...] და [...] 1187



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

[...] პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შენებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, ივნისის 11 ს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

მთელი დასის მონაწილეობით. გასტროლი ფრანგ ექსცენტრიკის და მის საოცარ ძაღლების ლაზორასი. მონაწილეობენ: იამოდასანი, რომელიც შეასრულებს იკრიის თამაშს და სიკვდილის შვილ კიბეს, ლამაზი ქალი ესმერალდი, კუპლეტისტი პეტ. ელიზაროვი, ჟოკეი ვოლ. ვლადიმიროვი, ხუმარა რანდი და მიშელი. ოთხშაბათს, 13 ივნისს. იქნება ბენეფისი სალი სულეიმონისა.

მთავარი ადმინისტრატორი: პ. ელიზაროვი. 612

სამსახურიდან გამოსული პოლკოვნიკი,

რომელსაც მრავალი წლის გამოც-დილება აქვს სამსახურში, ითხოვს სამწერლო სამუშაოს საზოგადოებრივ დაწესებულებებში, კოოპერატივებში, კანტორებში ან სხვა წარმოებაში.

მისამართი, გუნიბის ქ. № 37. იკით-ხეთ ლ. კ. ზისერმანი. 610

## ტფილისი. 11 ივნისი 1918 წ.

**უცხოელები საქართველოში.** მრავალ საკითხთა შორის, რომლის გონივრულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის ბედ-ბედი, არის საკითხი უცხოელების როლისა საქართველოში. 26 მაისის შემდეგ უცხოელთა კატეგორიას შეადგენს ჩვენთვის მთელი რიგი მოხელეთა და მცხოვრებთა, რომელნიც წინად რუსეთის დროშის ქვეშ იხდიდნენ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

დღეს მდგომარეობა ძირ-ფესვიანად შეიცვალა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ სახელმწიფო პასუხსაგებ ადგილებს დარჩენილან მრავალი უცხო ელემენტები, რომელთაც არა თუ ფორმალურად და ზნეობრივად არ მიუღიათ ვალდებულობა ყოველის საშუალებით დაეხმარონ ნორჩ რესპუბლიკას, არამედ მტრულადაც არიან განწყობილნი 26 მაისის ისტორიულ აქტისადმი და საჯაროდაც ბედავენ ამ აქტის შებილწვას და ფეხქვეშ გათელვას.

სახელმწიფოს არსებობისათვის, რანაირიც არ უნდა იყოს ხასიათი სახელმწიფოსი, აუცილებელია ერთი რამ: ჩამოყალიბებული, გამგონე, მორჩილი საადმინისტრაციო აპარატი. ამისათვის მარტო პარლამენტი როდია საჭირო, არც ჯარი ა საკმაო. როგორც სამართალი, ისე ადმინისტრაციის მთელი მექანიკა შაბლონიურად უნდა წარმოადგენდეს იმ ნებისყოფის განმახორციელებელ მანქანას, რომელსაც სახელმწიფო მთავრობა გადმოგვცემს. რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი, ქალაქის და სოფლის სამართველო, წესიერების ორგანოები, ყოველგვარი საკულტურო-სატეხნიკო ორგანო სახელმწიფოს ფარგალში მხოლოდ სახელმწიფოებრივ მექანიზმის სიმტკიცეს და სიდიადეს უნდა ემსახურებოდეს. კარგს კანონს მხოლოდ ასეთ პირობებში აქვს მნიშვნელობა და ჩვენც გვმართებს მოვლენის ამ მხარეს მივაპყროთ ყურადღება ჩვენი მთავრობის და პარლამენტისა.

სამწუხაროდ ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა მეტად ცუდია, რთულია. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ საქართველოს რესპუბლიკის არა რომელიმე ყრუ კუთხეში, თვით სატახტო ქალაქში, ტფილისში მოიპოვებიან გავლენიან სახელმწიფო—საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოხელენი, რომელნიც აშკარად ცდილობენ რესპუბლიკის საზარალო პოლიტიკის წარმოებას და საქართველოს გამანადგურებელ მოღვაწეობას ძალიანაც აფართოვებენ და აღიდებენ. ჩვენ კონკრეტიული ფაქტები გვაქვს, რომ პასუხისაგებ პოსტზე დღესაც არსებობენ მოღვაწენი, რომელნიც საქართველოს მთავრობის მათდამი ლოიალობის მიუხედავად საბოტაჟის და ბოიკოტის აზრსაც ავრცელებენ ძალთა შორის და ამ გზით სურთ საფლავი გაუთხარონ ნორჩ რესპუბლიკას, ამ ერთად ერთ აკვანს ერისას და რევოლიუციის.

რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი სუბიექტიური დამოკიდებულება ამა თუ იმ პირისადმი, რომელიც ხსენებულ გარემოებას ხელს უწყობს, სახელმწიფოებრივი მოვალეობა გვიკარნახებს [...]ლად დავსვათ ასეთ მოღვაწეთა საკითხი და ისევე გადავჭრათ იგი, როგორც ამას მოგვთხოვს კეთილდღეობა სამშობლოსი.

ვინც დღეს საქართველოში არის, იქნება იგი პიროვნება თუ ეროვნული და საზოგადოებრივი ჯგუფი, უნდა იცოდეს, რომ ის მოვალეა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სავსებით დაემორჩილოს, ხოლო განსაკუთრებით ის მოხელენი, რომელნიც მოჰყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ სამსახურში სინიდისიერად იდასრულონ მოვალეობა. ვისაც არა სურს კანონის დამორჩილება ის ან კანონს გარეშე დარჩება, ან [...] თავისუფლად და [...] უნდა გამოვიდეს იმ ადგილს, რომლის დაზიანებით ვნება მოაქვს რესპუბლიკისათვის.

ცხადია ასეთი უნდა იყოს ყოველ ღირსეულ მოქალაქის ვალდებულება. მაგრამ სინამდვილემ ჩვენ სხვა გვიჩვენა. სახელმწიფოს ხელფასს, საჩინოს და გარანტიას იღებენ თავისუფალ არსებობისთვის და ამავე დროს ნიადაგს აცლიან იმავე ორგანოს. ე ორმაგი მოქმედება სამარცხვინოა ყოველის მხრივ, და რომ მან ფართო ხასიათი არ მიიღოს და არ გახრწნას საზოგადოებრივი აზრი და შეგნება საჭიროა ეხლავე გამოცხადდეს პროვიზორული აქტი უცხოელების მდგომარეობის გამორკვევისათვის „საქართველოში. პარლამენტის საკონსტიტუციო-საიურიდიო კომისიებს და იუსტიციის მინისტრს ევალებათ დაუყოვნებლივ დასვან ეროვნულს საბჭოში ქვეშევრდომობის საკითხი და სწრაფად გაატარონ ცხოვრებაში, რათა უცხოელები, სულით, გულით და მისწრაფებით სხვა მხარეს ძალები დაუყოვნებლივ ჩამოშორდნენ იმ სახელმწიფოებრივ ადგილებს, სადაც ორგულებისა და საბოტაჟისტების მაგიერ საჭიროა მხნე, დაუღალავ და ერთგულ მუშაკების შემოქმედება.

ამ საკითხის გადადება შეუძლებელია. ეს არის ძირითადი სახელმშენებლო საკითხი და რაც მალე გადავწყვეტთ მით მეტი ძალა და ავტორიტეტი შეეძინება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

## გადმოხვეწილთა საკითხი

დღეს არც ერთი ა[...]ი დარჩენილა ჩვენს ქვეყანაში სადაც გადმოხვეწილთა ბუდე არ იყოს, დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში მრავლად მოიპოვება ეხლაც ბათომიდან და გურიიდან გამოქცეული. ამ ჟამად ქართლსაც აწვება ახალი ტალღა გამოქცეულთა მესხეთიდან და ჯავახეთიდან. გადმოხვეწილთა მდგომარეობა მეტად უმწეოა. სიმშილი, უბინობა, უწამლობა, უფულობა მუსრს ავლებს ჩვენს გადახვეწილებს და გაჭირვებულ მდგომარეობაში აგდებს მთელ ჩვენს ხალხს, ვინაიდან გამოქცეულთა ამ ნაწილს პატრონი და მფარველი მხოლოდ საქართველო ჰყავს.

მაგრამ არიან ამავე დროს უცხოეთიდან გადმოხვეწილნი, რომელნიც ისედაც გართულებულს ჩვენს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებენ. საქართველოს სატახტო ქალაქი და ქართლის რამდენიმე სოფელი გაჭედილია გამოქცეულ სომხებით და აღარ უჩანს დასასრული გამოქცეულთა დენას. ამათ აღარ აშინებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მიმართულებით რუსეთისაკენ მეტად ძნელია მოგზაურობა, გამოქცეულნი გზაში ნაწილობრივ იღუპებიან და განიცდიან აუწერელ გაჭირვებას. მაგრამ გამოქცეულთა ტალღას მაინც ვერაფერი აფერხებს და ლამის არის ჩვენც გავხდეთ მსხვერპლი ამ უბედურებისა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ გამოქცეულებს ადგილობრივ უჭირთ ცხოვრება, მაგრამ რანაირი მდგომარეობაც არ უნდა იყოს, უმჯობესია ადგილობრივ დარჩენა და მორიდება ყოველ ექსცესის. თვით სომხის ერის საბჭოც ცდილობს შეაჩეროს ხალხის გადასახლება და არ მოისპოს სომხე[...]ული ტერიტორიის დაცალიერებით, მაგრამ მოწოდება[...] პრაქტიკული ნაყოფი არ გამოუღია იმიტომ, რომ არ არსებობს იძულებითი ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ სურვილს განახორციელებდეს.

ჩვენ გვინდა ამ საკითხისადმი მივაქციოთ საქართველოს მთავრობის ყურადღება. აღარ არის დრო სენტიმენტალიზმისა და გულუბრყვილო ჰუმანიზმისა. საქართველოს საზღვრები უნდა დაიკეტოს გამოქცეულთათვის და აეკრძალოს ტფილისის სატრანსპორტო კანტორებს მიღება გამოქცეულებისა. სატრანსპორტო ტფილისის კანტორა უნდა ემსახურებოდეს ტფილისიდან წასვლის მოსურნეთ და არა უცხოელებს, რომელთა ეროვნული მოვალეობაა შინ დარჩენ და ერის კერა არ დალუპონ.

საქართველოსათვის გამოქცეულთა ტალღა დიდი საფრთხეა. რუსეთიდან თითქმის არავითარ სურსათს აღარ ვღებულობთ, სანიტარიისა და ჰიგიენის მხრივ ქალაქის მდგომარეობა უმწეოა, უბინობა თვალსაჩინოა და მრავალი ხალხი სცხოვრობს რეგისტრაციის გარეშე, რაიცა ხელს უწყობს მრავალ ბოროტმოქმედებას, ამით ზარალდება როგორც ხაზინა, თვითმართველობანი ისე საერთოდ მცხოვრებნი.

დროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ საქმეს. ყურადღება არა სიტყვით არამედ საქმით, მარტივი სახელმწიფოებრივი ღონისძიებით.

თ. ღ.

## სროლა ტფილისში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ გასული, რაც ტფილისში თითქოს შესწყდა თოფის სროლა, რომელიც ხალხს თავზარს სცემდა და ყოველ კულტურულ მუშაობას აფერხებდა. მაგრამ ორი-სამი უკანასკნელი დღეა ტფილისში ისევ დაიწყო წინანდელი ამბავი და თითქმის გზის ყოველ ჯვარედინზე ბოროტ მოქმედება ხდება, დაუსრულებელი სროლა და სხ.

ყოველივე ეს მაშინ ხდება, როდესაც სამხედრო წესები ჯერაც არ არის მოხსნილი. მართალია საქართველოს მთავრობამ [...] სასტიკი ზომა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ და მკაცრი დასჯით ალაგმა ნაძირალების

თარეში, მაგრამ როგორც ეტყობა ჩვენს საზოგადოებაში ბლომად მოიპოებიან ისეთი ადამიანები, რომელთათვის ძალიან საჭირო და ხელსაყრელია წყლის ამღვრევა და მთავრობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება.

ეს უპასუხისმგებლო ნაძირალები სასტიკ სახალხო სამსჯავროს წინაშე უნდა იქმნენ წარდგენილნი და დასჯილნი. იცოდეს ყველამ, რომ საქართველო არ არის რაღაც ქიმერა ან მხოლოდ სახელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული. სუვერენული სახელმწიფოს შეუძლია საკმაო ძალა გამოიჩინოს და აგრძნობინოს ყველას, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე არის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრატიული აპარატი ბოროტების დამცემი.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე და ქალაქში კიდევ უფრო გაძლიერდეს დაცველი რაზმები, ყარაულები, დაევალოს ყოველ სახლის პატრონს, დაწესებულებას, რომ ყოველ ბოროტმოქმედის დაცვისათვის სასტიკად გამოვიდნენ და ეს მუქარა ყოველ შემთხვევაში სასტიკად იქმნეს განხორციელებული.

წავიდა სიტყვების დრო დემოკრატიის სიტყვა და აზრი უნდა განხორციელდეს, დისციპლინას აზრი მისცეს, სასჯელი შეიქმნეს მისი შინაარსი და მაშინ ყველა იგრძნობს, რომ უთავბოლო ბოროტებას გასავალი არ ექნება თავისუფალ საქართველოში.

## სარევოლუციო ორგანიზაციის დადგენილება

შეერთებული ცენტრის, ტფილისის მუშათა და ჯარის კაცების დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტისა და წითელი გვარდიის შტაბის საზოგადო კრებამ, თანახმად ირ. წერეთლის მოხსენებისა, დაადგინა: მომენტის უმთავრესი მოთხოვნილებაა ძლიერი მთავრობის შედგენა, რათა მან მოახერხოს მთელი დემოკრატიის გაერთიანება, დაიცვას ჩვენი დამოუკიდებლობისა შინაური და გარეშე მტრებისაგან და განმტკიცება რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებისა. ერთის მხრით სარევოლუციო ორგანიზაციები [illegible] სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ და რეალური ძალა ჰქონდათ და მეორეს მხრით მთავრობა, რომელიც ამ რეალურ ძალას მოკლებული იყო, ცალ-ცალკე ვერ შეუძლიათ ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატი შექმნას. მხოლოდ ამ ორივე ელემენტის გაერთიანება სარევოლუციო ორგანიზაციებისა, როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციისა და გადაცემა მთელი შეიარაღებული ძალისა დემოკრატიული მთავრობის ხელში,—მხოლოდ ეს გაერთიანებაა, ერთად-ერთი საშუალება ძლიერი სახელმწიფოებრივი მძლავრობისა. ამ გაერთიანების ფორმის გამოძებნა მიენდო აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს მთავრობასთან შეთანხმებით.

## საქართველოს და ოსმალეთის შეთანხმება რკინის გზებით სარგებლობის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა, რესპუბლიკის რკინის გზებზე ოსმალეთის ჯარის დამხმარე ჯარისკაცების, სხვა და სხვა სამხედრო ტვირთის, იარაღის, სურსათის და სხ. გადაზიდვაზე; თავის თავად იგულისხმება, რომ ეს ტრანსპორტები საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო არ უნდა იყოს.

2) ოსმალეთის ლაშქრის უფროსების მიერ დანიშნულმა კომისიამ საქართველოს მთავრობის კომისიასთან შეთანხმებით და რკინის გზების გადაზიდვის მაქსიმუმ შესაძლებლობის თანახმად მოამზადებს და შეიმუშავებს სამხედრო ტრანსპორტის საფუძვლებს და წესდებას ეს ტრანსპორტები უნდა შესრულდეს რესპუბლიკის რკინის გზების საშუალებებით ადმინისტრაციის მიერ, ოსმალეთის კომისიის უფროსის დირექტივებით და თანახმად ოსმალეთის ლაშქრის სარდლების განკარგულებებისა.

3) იმ სადგურებზე, რომლებსაც ორივე მხარის კომისიები მთავარ სადგურებად აღიარებენ, ჯარის დასასვენებლად მისთვის სურსათის მისაწოდებლად, თვალყურის სადევნებლად რათა ტრანსპორტების მოძრაობა სათანადოთ და საჭირო მიმართულებით ხდებოდეს, მიეცემულ ინსტრუქციების თანახმად, დანიშნული იქნება თითო ოფიცერი სუბალტერნების საკმაო რიცხვით. ეს ოფიცერი არ ჩაერევა სადგურის უფროსის მოვალეობათა შესრულებაში ჯარის. ტრანსპორტისათვის საჭირო სურსათის ყიდვა შეძლების და გვარად ამ ოფიცერს საქართველოს მთავრობამ უნდა გაუადვილოს.

4) მე-2 და 3 მუხლების აღნიშნული კომისიები დაუყოვნებლივ დაიწყებენ მუშაობას ტფილისში და არა უგვიანეს 3 დღისა დღიდან ამ აქტის შეკვრისა. ამ დროისთვის რესპუბლიკის რკინის გზების ადმინისტრაციამ უნდა შეკრიბოს და დაამზადოს ცნობები გზების მდგომარეობის, მოძრავ და არა მოძრავ შემადგენლობის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ იქნეს გამოანგარიშებული გადაზიდვის შესაძლებლობის მაქსიმუმი.

5) საქართველოს მთავრობა ვალდებულია შესაფერ მდგომარეობაში შეინახოს გზები—მოძრავი და არა მოძრავი შემადგენლობა, სწრაფად შეაკეთოს და შეასწოროს ლიანდაგი იქ, სადაც იგი შემთხვევით ან განზრახ იქნება დაზიანებული და წამხდარი.

6) შემთხვევით და განზრახ მოხდენილ ზარალის და ზიანის, აგრეთვე ამ ნიადაგზე ორივე მხარის შორის მოსალოდნელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობა მოვალეა სამხედრო ნაწილებით დაიცვას ის რკინის გზები, რომელთა დაცვასაც ის საჭიროდ სცნობს. თუ ხსენებული მთავრობა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შესძლებს რკინის გზის რომელიმე ნაწილის დაცვას, ამ ნაწილის დასაცავად დანიშნული იქნება ოსმალეთის სამხედრო ნაწილები და ისიც—საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

7) საქართველოს მთავრობა მოვალეა გამოიყენოს ყოველივე ძალები, რომელნიც 1 მუხლში აღნიშნულ ტრანსპორტების გადაზიდვის დროს უკანასკნელს რაიმე სახით ხელს შეუშლიან. თუ საქართველოს მთავრობამ ეს ვერ შესძლო, მაშინ მათ გაფანტვაში ოსმალეთის ჯარი ჩაერევა. ხსენებულ ძალთა გაფანტვის და წესიერების აღდგენის შემდეგ რკინის გზის დაცვა მე-6 მუხლის თანახმად გაგრძელდება.

8) ოსმალეთის ჯარი [illegible] შეაფერხოს სამხედრო ტრანსპორტები რკინის გზებზე, როგორც სამხედრო ისე კერძო ხასიათის.

## მთავრობაში

8 ივნისს ქ. ბაქოს ქართველ მცხოვრებლების გამოგზავნილ დელეგატის მოხსენების თანახმად, მთავრობამ დაადგინა: შეუთანხმდეს უკრაინის საბჭოს ბაქოს ქართველების ინტერესების დასაცავად. ეთხოვოს გრაფ შულენბურგს, სთხოვოს რუსეთში მყოფ გერმანიის მთავრობის წარმომადგენელს გრაფ მირბახს რუსეთში მყოფ ქართველების ინტერესები დაიცვას, სალიკვიდაციო კომისიას წინადადება მიეცა დააჩქაროს მუშაობა.

—

ადერბეიჯანის რესპუბლიკის შუამდგომლობის თანახმად, აღნიშნულ რესპუბლიკისთვის 7 მილიონი მ. გადაიდვა. ადერბეიჯანის რესპუბლიკას განსაკუთრებულ შემთხვევისათვის ნება მიეცეს რადიო სადგურით ილაპარაკოს.

—

ფუნიკულერზე რადიო-სადგურის აშენების საკითხის შესახებ სამხედრო მინისტრს წინადადება მისცეს გამოიკვლიოს არის თუ არა მოხერხებული იქ რადიო სადგურის აშენება.

—

თავდაცვის საბჭო გაუქმებული იქნება.

სამხედრო მინისტრს დაევალა მადლობა გადასცეს ჯარს, რომელიც გენ. მაზნიაშვილის რაზმში მონაწილეობას იღებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგეობისთვის თავმჯდომარემ დროებით უნდა მოიწვიოს ცალკე ამხანაგი.

—

მოწონებულია პროექტი საქართველოს და ოსმალეთის შეთანხმებისა. შტატების შემცირების განსახილველად ამოირჩიეს კომისია ფინანსთა, შინაგან საქმეთა და შრომის მინისტრისაგან.

—

საერობო კავშირის შუამდგომლობა ფულის მიმატების შესახებ, დათხოვნილ მოსამსახურეებისათვის, არ იქნა შეწყნარებული.

—

რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის თანახმად კავკასიის ფრონტის ოფიცრებისთვის 800,000 მან. მიეცემის შესახებ, დადგენილ იქნა: უცოლო ოფიცრებს 500 მან მიეცეთ ხოლო ცოლიანებს 1000 მან. დადგენილია, სახალხო საბჭოების კომისრებს ეთხოვოს აღნიშნული ფული გამოგზავნოს. სამხედრო მინისტრს დაევალა შეადგინოს სია იმ ოფიცერთა, რომელნიც დაკმაყოფილებულნი უნდა იყვნენ, ფინანსთა მინისტრს დაევალა შეადგინოს პროექტი შინაგან სესხის მოწყობისა.

შტატ გარედ დარჩენილ მოსამსახურეებს ორი თვის ჯამაგირი მიეცემათ. ეროვნულ ქონების ინსპექტორის თანამდებობა გაუქმებულია. მთავრობის სხდომა გაიმართება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

## პარლამენტის ცხოვრება

საკონსტიტუციო კომისიაში ამოირჩიეს სერგი ჯაფარიძე (ს.-დემ. თავმჯდომარედ), რ. არსენიძე (ს.-დემ.), ნ. ჟორდანია (ს.-დემ), პ. საყვარელიძე (ალიონელი, მდივნად), ი. ჩერქეზიშვილი (ს.-რევ.), გრ. რცხილაძე (ს.-ფედ.), ს. დადიანი (ს.-ფედ.), გ. გვაზავა (ერ. დემ.), კ. მაყაშვილი (უპარტიო). 11 ივნისს, დილის 11 საათზე, დანიშნულია საკონსტიტუციო კომისიის კრება თეთრ დარბაზში.

აგრარულ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია კ. ნინიძე.

## ომის დეპეშები

**სტამბოლი**, 8 ივნისი. მთელ ფრონტზე ახალი არაფერია.

**ბერლინი**, 8 ივნისი. მთავარი ბინა. დასავლეთის ფრონტი კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი. დროგამოშვებით არტილერიის ბრძოლა და ზვერვა სწარმოებს.

**გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი** მტრის იერიშები ჩრდილოეთ-დასავლეთით შატო-ტიერისთან და კონტრიერიშები არკერზე, იმ მიზნით, რომ რომ დაკარგული პოზიციები დაებრუნებიათ, მხოლოდ უმნიშვნელო ადგილებზე ნაყოფიერად დამთავრდა მათთვის. ფრანგების, ამერიკელების და ინგლისელების იერიშები მოგერიებული იქმნა და მტერს დიდი ზიანი მიეაყენეთ. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

[illegible] ბა. ყველა ფრონტზე არავითარი ცვლილებაა.

**ვენა**. 8 ივნისს, მტრის მზვერავთა რაზმის შეტევა აზიაგო და ბრენტას შუა არტილერიის საშუალებით მოვიგერიეთ. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე არტილერიის ძლიერი ბრძოლა გრძელდება.

**ინგლისის ცნობის ნაწყვეტი**. ბულგარეთ-გერმანიის ფრონტის შესახებ ივნისის 6 ჩვენმა ჯარებმა მტრის თხრილების ხაზს მოაღწიეს სიგენის მაღლობის სამხრეთ-დასავლეთით, ტყვედ წამოიყვანა 1700 ბულგარელი და გერმანელი, ამათში 33 ოფიცერია, წამოიღეს მრავალი ქონება.

**გერმანიის**. სააგენტო „პრეს-ბიურო"-ს ცნობა. (ნაუენის რადიო სადგურიდან ინგლისურ ენაზე მიღებული) პრეს-ბიურო" ს კორესპონდენტი დასავლეთის ფრონტზე იუწყება: გერმანელებმა გაიმარჯვეს შმენ-დე დამთან, ქვეითა რაზმის დახმარებით 37 ზარბაზანი ხელთ ჩაიგდეს და იმათგან დაიწყეს სროლა. ფრანგების ჯარი გაიქცა ესწეს მიმართულებით. შეტევის დროს წამოიყვანეს ტყვედ 600 კაცი და დაიპყრეს ესნე.

**ინგლისის და საფრანგეთის** ცნობებში ცდილობენ სინამდვილეს დამალვას და თავიანთ დამარცხებას ჰფარავენ. გერმანის ცნობა 28 მაისის კოოლიციის პრესაში არ გამოაქვეყნეს.

**სტამბოლი**, 9 ივნისი. სამხედრო მოხსენება. არტილერიის არაჩვეულებრივად დიდი მზადების შემდეგ დაიწყო დიდი შეტევა ზღვისპირა სექტორზე. ჩვენ პოზიციათა მოწინავე ხაზებზე იყო შეტაკებანი ხიშტებით და ხელით სატყორცნ ყუმბარებით: აქ ხან ერთი და ხან მეორე მხარე იმარჯვებდა. რადგან ჩვენმა ჯარებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მოწინააღმდეგემ ვერ მოახერხა იერიშების ჩვენს პოზიციებზე მოტანა. შუადღისას მტერი კონტრ-იერიშებით გამოდევნილ იქმნა ჩვენ მოწინავე პოზიციებიდან. ხელახალი ცდა მოწინააღმდეგისა სათადარიგო ნაწილების დახმარებით კვლავ დაიწყო შეტევა ჩვენი საარტილერიო ცეცხლის წყალობით უშედეგოდ ლარჩა. ორი ბატალიონი შესატევად რომ მზად იყო, ჩვენ დავარბიეთ. პოზიციები, ბოლოდროიმდე რომ გვეჭირა, დღესაც ჩვენ ხელშია უკლებლივ. მტრის ზარალი დიდია. სხვა ფრონტებზე არსებითი არა მომხდარა-რა.

**ბერლინი**. 9 ივნისი. სამხედრო მოხსენება. **დასავლეთის ფრონტი**. კრონპრინც რუპრეხტის არმია, არტილერიის ცეცხლი გუშინ საღამოთი არაერთხელ გაძლიერდა, დღეს დილით კი მეტად ძლიერი იყო კემმელის მიდამოებში, სომმის სამხრეთით და ავრთან. ფრანგების კერძო იერიშები იპრის სამხრეთით და ინგლისელებისა ბომონის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ და მტერიც საგრძნობლად დავაზიანეთ.

**გერმანიის კრონპრინცის არმია**: უაზზე გაცხოველებული ბრძოლაა. ფრანგების ადგილობრივ იერიშებს მდ. ენის (ეონეს) ნაპირას და ურსის სამხრეთით შედეგი არ ჰქონია. ჩვენმა შეტევამ კურტრისთან მოგვცა ჩვენ 45 ტყვე, ფრანგებმა და ინგლისელებმა, რომელნიც კვლავ შეეცადნენ შეტევა დაეწყოთ შატოს ჩრდილო-დასავლეთით, დაგვიტოვეს რამდენი კაცი ტყვედ და ისე დაიხიეს თავის პოზიციებზე.

**არმია ჰერცოგ ალბერტისა**: შეტევის დროს მოზელის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ ტყვეები.

**საჰაერო მოქმედებანი**: ლიტენანტმა კროლმა რიცხვით ოცდამეოთხე და მეხუთეჯერ გაიმარჯვა ჰაერში ბრძოლაში, ხოლო ფელდფებელმა რომაილმა ოცდამესამეჯერ.

**ბერლინი**, 9 ივნისი. სამხედრო მოხსენება. უაზის დასავლეთით ჩვენ ავიღეთ მაღლობი გური და მის ახლო განწყობილი პოზიციები მოწინააღმდეგისა.

**პარიზი**. 9 ივნისი. სამხედრო მოხსენება. შეტევა, რომელიც მტერმა დაიწყო დილიდანვე, მონ-დიდიესა და ბეფრეს შუა 35 კილომეტრზე გაჭიმულ ფრონტზე, მეტად გაძლიერდა შუადღისას, როდესაც გერმანელები, ჩააბეს რა დიდძალი ჯარი ბრძოლაში, შეეცადნენ ფრანგთა პოზიციები გაერღვიათ. ფრანგის ჯარმა მტრის კვეთებას გაუძლო ბრძოლის მთელ ხაზზე, სადაც მეტად გამწარებული შეტაკებანი იყო, და ზოგან სრულებით გაანადგურა, ხოლო ზოგან საგრძნობლად შეამცირა მტრის კვეთება. გერმანელებმა მარცხენა ფლანგზე ვერა გა[illegible] რეტონის ტყე-მორტენერის ხაზზე, რომელსაც მათ მიაღწიეს.

## სადგილ-მამულო რეფორმა

**ქუთაისი**. ივნისის 6. ზუგდიდის მაზრაში უკვე ჩაიბარეს თავ. მინგრელსკის მამულები, სივრცით 13,000 დეს.

**ტფილისი**. ივნისის 7. მიწათ-მოქმედების სამინისტროს განმარტებით მიწების კონფისკაციის კანონი არ ვრცელდება იმ მიწებზე, რომელიც ჩამორთმეულია სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებათათვის და კერძო რკინის გზისათვის. ეს მიწები არ უნდა ჩამოერთვას რკინის გზებს და არ უნდა გადაეცეს სადგილ-მამულო კომიტეტებს. რკინის გზის, თანახმად სარკინიგზო დებულებათა, შეუძლია რკ. გზ. მოსამსახურეებს გადასცენ ეს მიწები დროებითი სარგებლობისათვის.

**ბორჯომის წყლები**. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ბორჯომის წყლების ექსპლოატაციის უფლება ერთი წლით მისცა მოქალაქეთ კილაძესა და ბეჟკის.

## ახალი ამბავი

დღეს პირველ საათზე სახახლეში გაიმართება ეროვნულ საბჭოს კრება.

**ქალაქის მილიციის უფროსმა** გამოსცა ბრძანება: „რადგანაც მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებას, სპირტიან სასმელებით ვაჭრობის შესახებ, თავის ძალა არ დაუკარგავს და მიუხედავად ამისა ვაჭრობენ სპირტიან სასმელებით რადგანაც სათანადო ზედამხედველობა აკლია. ბრძანებას ვცემ საჩქაროდ ბოლო მოეღოს სასმელებით ვაჭრობას კლუბებში და რესტორანებში და დამნაშავეები პასუხისგებაში მიეცეს".

**საოლქო ცენტრში**. საოლქო ცენტრის, მუშათა და ჯარისკაცთა ტფ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და წითელ გვარდიის შტაბის საზოგადო კრებაზე, ირ. წერეთლის მომენტის შესახებ მოხსენების გამო, ასეთი დადგენილება გამოიტანეს: მთავარი მოთხოვნილება მომენტისა—შექმნა ძლიერ სახელმწიფოებრივ მთავრობისა, რომელიც შესძლებს მთელი დემოკრატიის გაერთიანებას და წინააღუდგება ყოველ ცდას, ჩვენი დამოუკიდებლობის და რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებათა წინააღმდეგ მიმართულს. სარევოლიუციო ორგანიზაციები, რომელთაც რეალური ძალა აქვთ და ახორციელებენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციას ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მთავრობა, სახელმწიფოებრივ ფუნქციათა მატარებელი და რეალურ ძალის საკმარისად არ მქონე, მოისუსტებენ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნაში. მხოლოდ გაერთიანება ამ ორი ელემენტისა, ე. ი. დაცვა სარევოლიუციო ორგანიზაციათა, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელ ორგანოებისა ისე კი, რომ მთელი მათი შეიარაღებული ძალა დემოკრატიულ მთავრობის განმგებლობაში იყოს, აი ერთადერთი გზა მტკიცე სახელმწიფოებრივ მთავრობის შექმნისათვის. ასეთ გაერთიანების ფორმათა შემუშავება ევალება აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს მთავრობასთან შეთანხმებით.

**მუშათა და გლეხთა საბჭოები**. გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში აღძრა საკითხი მოწვეულ იქმნენ ტფილისში მუშ., ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები შეერთებულ სხდომაზე საქართველოს პოლიტიკურ მომენტის შესახები საკითხების განსახილველად. 3 ივნისს ცენტრისა, აღმასრულებელ კომიტეტისა და წითელი გვარდიის შტაბის შეერთებული სხდომა ამ საკითხსაც შეეხო და დაადგინა მიენდოს ცენტრს განიხილოს არსებითად ეს საკითხი და გამოიტანოს დადგენილება სახელმწიფოებრივი საჭიროება მოითხოვს თუ არა საბჭოთა მოწვევას ტფილისში.

**ოსმალოები და სომხები**. ოსმალეთის მთავრობამ აუწყა სომხების დელეგაციას, სასწრაფო ზომები იქნება მიღებული ჯულფამდე სამგზავრო და საქონლის მატარებლების მიმოსვლის აღსადგენად, რათა ამით საშუალება მიეცეს ლტოლვილებს თავის ადგილებზე დაბრუნდნენ. გუშინ პირველი მატარებელი უკვე გაემგზავრა გუმრში.

**საგარეო ვაჭრობის** პალატის საბჭოში არჩეული არიან: ტერ ზაქარიანი, აიისბრუკი, თონ-შმიდტი, ფარუნ-ბეკ ვიზიროვი, სეილანოვი, იასონ ლორთქიფანიძე, ჯაგეტიანი, ევანგულოვი და სხვები. საბჭომ გადაწყვიტა პირველ რიგში დაარსონ სექცია გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის გასაახლებლად.

**გადასახადები**. იმათ წინააღმდეგ, ვისაც გადასახადი არ ჰქონდა შემოტანილი რეპრესიული ზომები იქმნა მიღებული: ამის გამო „ნედოიმშჩიკები" არაჩვეულებრივი სისწრაფით მოაწყდნენ საქალაქო კასას. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში 200000 მან. შემოვიდა.

**ფოსტა-ტელ. მოხსამსახ. კრება**. გუშინ ტფ. ხავაჟი პირველ გიმნაზიაში დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატების კრება.

**შოფერების დადგენილება**. 9 ივნისს ტფილ. შოფერების საზოგადო კრებამ, რომელსაც 200 კაცი დაესწრო, მთავრობას განუცხადა, რომ შოფერებში ამ ბოლო დროს უმუშევრობამ იჩინა თავი, რადგან ავტომობილების კავკავისკენ მიმოსვლა აკრძალულია და სთხოვა, რომ მიმოსვლა აღდგენილი იყოს თუნდ საგურ ყაზბეგამდე, რათა ამით თვითონ შოფერებსაც და მათ ცოლ-შვილს ლუკმა პური არ მოესპოს.

**სახელმწიფო მოსამსახურეთა კრება**. შესდგა საგანგებო კრება სახელმწიფო მოსამსახურეთა დელეგატებისა, რომელმაც განიხილა საკითხი ამიერკავკასიის სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობისა. დასახელებული იყო სხვა და სხვა საშუალება. აირჩიეს 10 კაცის კომისია, რომელსაც მიენიჭა კომპეტენციის უფლება.

**იძულებითი სესხის გამო**. ქუთაისიდან ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე ხელთუბლიშვილი მთავრობას სთხოვს განმარტებას იმის შესახებ, არსებობს თუ არა მთავრობის განკარგულება ქუთაისში საგანგებო საფინანსო კომისიის დაარსების შესახებ, რომელმაც გამოაცხადა იძულებითი სესხი 10 მილიონი მანეთისა. ამის გამო მთავრობამ 8 ივნისის სხდომაზე დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს შეეკითხოს ქუთაისის გუბ. კომისარს როგორც ხსენებულ კომისიის დაარსების შესახებ, აგრეთვე იმ მიზეზების შესახებ, აგრეთვე 10 მილიონიან იძულებით სესხის დაწესების თაობაზე.

[illegible] (ნიკოლოზის ქუჩა № 10) შესდგება არქეოლოგიურ საზოგადოების საჯარო კრება, სადაც, სხვათა შორის, გ. ჩუბინაშვილი წაიკითხავს თვის მოხსენებას ანისის ხელოვნების ქრონოლოგიის საკითხის შესახებ.

**საფილოსოფიო საზოგადოებაში** იმ სიაში, რომელიც დაბეჭდილი იყო „სახალხო საქმის" № 243-ში, შეცდომით გამოშვებულია ორი ნამდვილი წევრი ახლად დაარსებულის „პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებისა", სახელდობრ ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძენი ჯავახიშვილები, რომელნიც არჩეულ იყვნენ დამფუძნებელ კრებაზე, მაისის 26.

**ქართულ ტექნიკურ საზოგადოებაში**. ხვალ, 12 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქ. № 11 შესდგება ტექნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც საქარხნო ოთახის თავმჯდომარე დ. გ. ახნაზი წაიკითხავს მოხსენებას ამ თემაზე: „რამდენიმე ცნობა ამიერკავკასიის სამთამადნო მრეწველობის შესახებ". დასწრება ყველას შეუძლიან.

**ოფიცრების დახვრეტა**. ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ ოსმალეთის ასკერების დახვრეტისაგან გადარჩენილნი სად. აზალა-სერალში: კარაპეტიანი, პოდპ. სმირნოვი სამხედრო მოხელე—კ. ფომინი. ესენი გადმოგვცემენ შემდეგს: ესენი 28 ოფიცერსა და სამხედრო მოხელესთან ერთად (რომელთაგან 12 იყო რუსი, 6 ქართველი, 10 სომეხი, კარაკლისიდან ტფილისში ბრუნდებოდნენ, სად. ალავერდზე ასკერებ შეაჩერეს, აზალასერალის სადგურზე წაიყვანეს, ვითომც ფაშასთან მოსალაპარაკებლად. სადგურზე ოფიცრები ცარიელ ვაგონში ჩაჰკეტეს, ყველაფერი ჩამოართვეს რაც ჰქონდათ, შემდეგ მინდორში დასახვრეტად წაიყვანეს.

**სომეხ ლტოლვილთა შესახებ**. ბათომიდან ჩამოსული სომეხთა დელეგაცია იუწყება, რომ სომეხთა დელეგაციის და ოტომანურ მთავრობის მიერ მიღებულ ზომების გავლენით, სომეხ-ლტოლვილებს შეეძლებათ თავიანთ ბინებზე დაბრუნდნენ. ყარსის და ბათომის ოლქების გარდა. ყარსის და **ბათომის ოლქებში დაბრუნების ნებას შემდეგ მისცემენ**. ოსმალეთის სომხეთის ლტოლვილებს ნებას დართავენ საბოლოო ზავის შეკვრის შემდეგ.

**საზავო ხელშეკრულება**. მთავრობამ დაავალა ბექვდითი სიტყვის ბიუროს, გამოაცხადოს, რომ საზავო ხელშეკრულება, სხვა და სხვა გაზეთებში მოთავსებული, შეცდომებია. ნამდვილი რედაქცია ხელშეკრულობის მოკლე ხანში იქნება გამოქვეყნებული.

**გერმანიის ჯარი**. ტფილისში 9 ივნისს ფოთიდან გერმანიის ჯარის ნაწილი ჩამოვიდა. სახელდობრ: ქვეითა ჯარის 1 ბატალიონი და ერთი სამტყორცნო ბატალიონი. სამხედრო ნაწილებთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა მრავალი გერმანელი ოფიცრები. გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე გერმანიის ავიატორებს ელოდნენ. მალე ტფილისში ჩამოვა ტრანსპორტი ამუნიციით, სანიტარული მოწყობილებით, და პროვიანტით. ფოთში უკანასკნელ დროში გერმანიის გემები ჩამოვიდა.

**კვირას, 9 ივნისს**, ტფილისის სახალხო სახლში მრავალის წევრთა და გარეშეთა თანადასწრებით სხდომა ჰქონდა ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით ტფილისის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატებს. დეპუტატთა კრებამ განიხილა კიდევ უფრო ვრცელი მოხსენება ირ. წერეთლისა საზოგადოდ პოლიტიკურ ვითარებისა და ძლიერი მთავრობის ორგანიზაციის შესახებ, რომლის შინაარსი ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. კამათმა ნაშუადამევის ორ საათამდე გასტანა. ზოგიერთმა ორატორმა რევოლიუციონურ ორგანიზაციების შეიარაღებულ ძალების მთავრობის დაქვემდებარებას იჭვის თვალით შეხედა და ამაში უწოდა იძულებითი მდგომარეობის დასაწყისი. ვალ. ჯუღელმა და ზოგიერთებმა გულმტკივნეულად სთქვეს, რომ დღეს უკანასკნელია ჩვენი დეპუტატების სხდომა. ამ ჯურის ორატორებს ნ. ჟორდანიამ, კ. ჩხეიძემ და თვით მომხსენებელმა განუმარტეს საქმის ვითარება, მოიყვანეს ისტორიული ცნობები, მიუთითეს ინგლისისა და სხვა ქვეყნების პარლამენტარულ ცხოვრებაზე და აღნიშნეს, რომ ჩვენში ეხლა დასაწყისია პარლამენტარულ ცხოვრების

სა, სახელმწიფო ფუნქციები სავსებით მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს და ამ ფუნქციათა სარევოლიუციო ორგანოსაგან მითვისება ცხოვრებას უფრო ართულებს და სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთო. ინგლისში პარლამენტარიზმი უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული და ეს მდგომარეობა სრულებით ხელს არ უშლის მშრომელ ხალხის კლასობრივად დარაზმვასა და ცხოვრების მიმდინარეობაზე გავლენის შენარჩუნებასაო. კარგა ხანს თათბირის შემდეგ კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო წარმოდგენილი რეზოლიუცია რომელიც ცალკე მოგვყავს.

✦ **ოსმალეთის ოფიცრები.** 8 ივნისს ტფილისიდან წავიდნენ ოსმალეთის ოფიცრები ერევნის და განჯის რაიონებისაკენ მიმოსვლის აღდგენისათვის მცხოვრებლებს უნდა გააგებიონ ზავის შეკვრა. ოსმალეთის ოფიცრებს ენვერ-ფაშისაგან ბრძანება აქვთ.

## სოფლად და ქალაქად

### გორი.

✦ „მანდილოსანმა" ერთი კარგი საქმე დაისახა კიდევ მიზნად—უფასო საფეიქრო სკოლის გახსნა. დაზგები, ძაფი უკვე შეძენილია და ამ მოკლე ხანში გაიხსნება კიდეც „მანდილოსნის" სკოლის შენობაში. ეს უკანასკნელიც პირველ დაწყებითი სკოლა—უფასოა და ოთხმოცამდე ქართველი ღარიბი ბავშვი სწავლობს.

✦ შესდგა თავდაცვის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ექ. მ. კობერიძე ითვლება. კომიტეტმა გორსა და გორის მაზრაში საალყო წესები გამოაცხადა.

✦ ხშირია ეხლა წარმოდგენები. ხალხი ბლომად ეტანება, ყველას კი გადააჭარბა „არშინ მალ-ალანმა" სამჯერ ზედი-ზედ დაიდგა ყოველ დღე და სამჯერვე იმდენი ხალხი დაესწრო, რომ სულის ამოთქმა ძნელი იყო. გორელები საერთოდ იმას ეტანებიან, რასაც იაფი ფასი აქვს და გრძნობის კი ძლიერ უღიტინებს. ეს ჩვენმა დამსახურებულმა მსახიობებმა ძალიან კარგად იციან და თავიანთ ჯინიჯს და უნარს აქ ხშირად ასეთ იაფ ფასიან ნაწარმოებზე ახურდავებენ.

✦ მთავრობის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას რომ ხურდა ფული სრულიად არ იშოვება და ეს ხალხში უკმაყოფილებას იწვევს. ხშირადაა ხდება, რომ მყიდველი ხურდაზე ხელს იღებს, რადგან გამყიდველს ხურდა არ მოეპოვება, 5—10 მანეთიანი ბონები რომ იყვეს კიდევ არა უშავდა რა, ყველგან და ყველას ხელში მხოლოდ ხუთ ათუმნიანი სჩანს, თუ არ იქმნა ზომა მიღებული, ამ ნიადაგზე ექსცესებია მოსალოდნელი. ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ ფოსტასაც „პერევოდები" მოდის და მოდის, ფოსტას კი ფული არა აქვს, რომ ფულის პატრონნი დააკმაყოფილონ. საყვედური, ლანძღვა, უკმაყოფილებაა... მაგრამ რა ჰქმნას ფოსტის უფროსმა ან სხვა მოხელემ, როცა ჯამაგირს იქნება თვითონაც დროზე ვერ იღებს?

### სენაკის მაზრა.

✦ 26 მაისს ალექსანდრე ჯალაღანიას ოჯახში ქორწილი იყო. იმ ღამეს როგორც სჩვევიათ საზოგადოთ, ალიონზე, ერთმა მეჯვარეთაგანმა გვარად სართანიამ დაიწყო რევოლვერით სროლა, რომელსაც მივიდა მასთან დედოფალი და სთხოვა რომ მისთვის მიეცა რევოლვერი, მან კიდევ ვაისროლა, ტყვია მოხვდა დედოფალს შუბლში და ქალი უსულოთ დაეცა. რის შემდეგ სართანიას დანარჩენმა მაყრებმა ოთხი ტყვიით მოჰკლეს და ხმალით და ხანჯლით დაჩეხეს.

### დ. ბორჯომი და წაღვერი.

✦ შესდგა ქართველ მსახიობთა დასი ზაფხულის სეზონში რეგულიარულ წარმოდგენების გასამართავად ბორჯომსა და წაღვერში. დასში იმყოფებიან ტასო აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნატ. ჯავახიშვილი, მარო მდივანი, ან. შოთაძე, ალ. იმერელი; ვაჟნი: ვასო აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ი. ქუთაძე, ვ. მატარაძე, ნ. ციციშვილი, გ. ფრონისპირელი და სხვ. დაიდგმება ორიგინალური და ნათარგმნი პიესები. სეზონი დაიწყება არა უგვიანეს 25 ივნისისა (ახალი სტილით).

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**დღეს, საღ. 7 საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში მოხდება შეერთებული კრება მთავარი კომიტეტის, მუშათა კავშირის გამგეობისა, სამხედრო საბჭოსი და ტფილისის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტებისა. აღნიშნულ ორგანოების წევრებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ კრებას.**

ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, პარტიულ კლუბში (ძველი სემინარიის შენობა) დანიშნულია ჩვეულებრივი კრება. მოხსენებას წაიკითხავს ალ. წერეთელი მომენტის შესახებ.

## სომხური პრესა

სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

შინაგანი ფრონტის ერთობა.

„მშაკი" (№ 107) სომხეთის დამოუკიდებლობის გამო სწერს:

„ოსმალეთმა სცნო ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა—ადერბეიჯანი, საქართველო და ჰაისტანი (სომხეთი)—და მათთან დასდო საზავო ხელშეკრულება...

თანახმად ამ ხელშეკრულებისა სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს თავისი საკუთარი მთავრობა...

წილი უკვე ჰყარეს.

იქმნის სომხეთი (ჰაისტანი) ანუ სომხების დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი მართვა გამგეობის ფორმაც, ნებითა ოსმალეთის იმპერიისათა, გამორკვეულია; ის უნდა იყოს რესპუბლიკანური როგორც სომხეთისა აგრეთვე საქართველოსისა და ადერბეიჯანისათვის.

ჩვენ ვდგევართ მომხდარ ფაქტის წინაშე... ხელშეკრულება უკვე მიღებულია და ხელმოწერილი, მაშასადამე, არავითარი ცვლილების შეტანა მასში აღარ შეიძლება".

ძალიან ცუდია ხელშეკრულების პირობები, სომხეთი ძალიან ფრთაშეკვეცილი და დასახიჩრებულია. „მაგრამ ჩვენ პირნათლად უნდა შევასრულოთ ყველა ნაკისრი ვალდებულება და ვეცადოთ ჩვენთვის დათმობილს ვიწრო საზღვრებში მაინც გავაჩაღოთ ჩვენი ბეჩავი და მრავალტანჯული ერის სასარგებლო მუშაობა და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებით შევუდგეთ ჩვენი ერის შეკრებას—შეგროვებას.

თუმცა, ჩვენ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ მოკვდა დედა სომხეთი, ჩვენი ოცნების და ალერსის საგანი—სომხეთი, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია შევსძახოთ:

„მოკვდა ძველი დედა ჰაისტანი (სომხეთი), გაუმარჯოს ახალს, ნორჩ ჰაისტანს!"

მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ სომხის ხალხი დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილებს და თავის დანგრეულ ოჯახებს.

მაშ! ვსძლიოთ სასოწარკვეთილებას, გავმაგრდეთ და გავსალკლდევდეთ. ხელი მივყოთ მოქმედებას, შრომას. კმარა ილლიუზიების უკან დევა".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ უნდა შექმნას მომქმედი და შრომის მოყვარე მთავრობა, ხოლო ამისთვის კი საჭიროა დავივიწყებულ იქნას ვიწრო პარტიული ანგარიშები, რომელსაც ემსახურება დაშნაკცაკანთა პარტიაო, და პარტიული ინტერესები უნდა დავუმორჩილოთ ერის ინტერესებს, ერის კეთილდღეობასო.

გაზეთი „ჰორიზონი" (№ 110) აღტაცებით მიესალმება საზავო ხელშეკრულებას, რომლის წყალობითაც „სომხის ერს დღეს მტერი აღარა ჰყავს" და მან უნდა ძირიან ფესვიანად შესცვალოს თავისი პოლიტიკა მეზობლებისადმი: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თურქებთან მეგობრულ განწყობილებას და თანხმობით ცხოვრებაზე ზრუნვას.

„დღეს როცა ზავი შეკრულია და კეთილ-მეზობლურ ცხოვრებისათვის ნორმალური პირობებია შექმნილი, სომეხ-თურქ-ქართველთა დემოკრატიებმა უნდა ხელი ხელს ჩაკიდებულმა თანხმობით იმუშავონ ამიერკავკასიის დემოკრატიის შინაგან ფრონტის მთლიანობის აღსადგენად და განსამტკიცებლად".

## სათავდებო საზოგადოება „არტელი"

სათავდებო საზოგადოება, ანუ „არტელი", ე. ი. საზოგადოება, რომელიც იყოლიებს თავის წევრებს, უმთავრესად სპეციალისტებს რათა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო და ყოველ საიდუმლო - მისაცემი დაწესებულებას ზურგს გაუმაგრებს ქონებრივის და ზნეობრივის პასუხისმგებლობით ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის ერთი მთავარი და საჭირო საქმეა.

დღემდე მრავალი დაწესებულება იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას პეტროგრადის, მოსკოვის და როსტოვის „არტელებით". ამ ჟამადაც მრავალი მოხელე მსახურობს სხვა და სხვა ქართულს და არა ქართულს დაწესებულებაში.

განთავისუფლებულ საქართველოსათვის აუცილებელია ეროვნული „არტელების" შექმნა. არა მარტო საეკონომიო დაწესებულება კერძო ხასიათისა, ერობა, სახელმწიფო, ქალაქები, კოოპერაცია და სხვ. მეტად საჭიროებენ თავდებიან, სანდო და პირიან მოხელეთ, მოლარეთ, ბუხჰალტერთ და სხ.

ჩვენი ახალგაზრდობა 21 წლიდან, როგორც ვაჟი ისე ქალი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს. ტფილისში უკვე განზრახული აქვთ ამ საქმის მოგვარება და ვუსურვებთ მოთავეთ მალე, პირნათლად და რიგიანად მოეწყოთ ეს ფრიად სიმპატიური საქმე.

სოფ. ტარუაშვილი.

## მისაბაძი მაგალითი

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მკითხველი უთუოდ ყურადღებას მიაქცევს ქართველი ქალის ეკ. იაშვილის გულწრფელ და გულიდან ამონახეთქ, წმინდა ეროვნული გრძნობით გამსჭვალულ წერილს. ამგვარ წმინდა გრძნობას, ასეთ მამულიშვილურ მოქმედებას ყოველთვის სიხარულითა და სიამოვნებით შეხვდება ჩვენი საზოგადოება.

დღეს, როდესაც ჩვენი ერი იწყებს თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ყოველივე მოქალაქე ვალდებულია მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება, შესწიროს ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას და რევოლიუციის მოპოვებულ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას და არაფერი დაიშუროს ნორჩი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ამ მხრივ ეკ. იაშვილის მოქმედება, სიტყვა და საქმე მისაბაძ მაგალითად ხდება.

ვისაც კი შერჩენია გრძნობა მამულიშვილობისა, ვინც გრძნობს იმ მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ჩვენი ერი, ჩვენი სახელმწიფო, ის მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს მას, ყოველი ღონე იღონოს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი თავისუფლება უზრუნველ ჰყოს. ყველა შეგნებული მოქალაქე ვალდებულია ამ გზას დაადგეს, ასეთი მსხვერპლი გაიღოს, თუ სურს მას თავისი ერის კეთილდღეობა, ბედნიერება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ვისაც თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობა სურს, ვინც გრძნობს ამ დამოუკიდებლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, ის მოვალეა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს, მის აღორძინებასა და კეთილ მომავალზე იზრუნოს!..

კოკი აბაშიძე.

## ახალციხესა და ჯავახეთში

საშინელი და თავზარდამცემი ამბები მოდის ჯავახეთ ახალციხის მხრიდან. ამ რამდენიმე დღის წინად ჯავახეთიდან ტფილისში ჩამოვიდა იქაურ სოფლის მასწავლებელი ბ-ნი ანანიაშვილი. მისი სიტყვით ამ უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში ისეთი საშინელი! საზარელი ამბები დატრიალებულა იქ, რომ თუ მისი მეათედი რაც ისმის მართალია, ვაი სირცხვილო, რომ ჩვენ ეს ამბები ჩვენის ხალხის უბედურებისა არ ვიცით და თუ ვიცით ვერავითარს ღონის ძიებას ვერ ვღებულობთ ჩვენივე მოძმე მესხეთ-ჯავახელთა დასახმარებლად, რომ იგინი გადავარჩინოთ ამ საშინელს ცეცხლსა და მწუხარებას. ჯავახეთში 16 მდე სოფელში 20,000 მეტი ქრისტიანი ქართველობაა. ახალციხის მაზრის თათრობამ და მაჰმადიან ქართველობამ ისეთი საშინელი მწუხარება და განადგურება მიაყენა ქრისტიან ქართველობას, რომ 5000 მდე ოჯახი აიბარგა თურმე და ჯავახელებს შეაფარეს თავი, რადგანაც ბორჯომ-ახალციხის გზა შეკრულია აქამდე. საუბედუროდ უიარაღოთა და ორგანიზაციულად მოუწყობელ ჯავახელთა და მათ სოფლებში თავშეფარებულ მესხეთის ლტოლვილთა უარესი მდგომარეობა განუცდიათ, რადგანაც მათ სდევნიდნენ არამც თუ მარტო თათრობა, არამედ სომხობაც კი.. ბოროტ ძალებს თავზე ხელაღებულ ხულიგნებისა და პროვოკატორების ჩაგონება ხელმძღვანელობით ისეთი უსინდისო და ისტორიისაგან აწ დაუვიწყებელი იერიშები უწარმოებიათ ჩვენ მოძმეთა წინაშე მდევ, რომ შეგნებულ და დამკვირვე მნახველია მოწმობით ჩვენს მოიერიშეებს სდომებიათ, ბნელი გაურკვეველი მდგომარეობის გამოყენებით, სრულიად აღგავათ დედამიწის ზურგიდან ჯავახეთში ქართველთა სახსენებელი, რომ კიდევ უფრო გაფართოებულიყვნენ ბინძურ და ქვენა გრძნობებით დღევანდლამდე გაძღენთილნი ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნულნი. სოფელი ხიზაბავრა, ხერთვისი და სხვ. ისეთი გამეტებული მხეცურიიერიშებით გაუნადგურებიათ, რომ ქალნი და ბავშვებიც არ დაუნდვიათ. ბევრი დაუხოციათ ქალი და ვინც ჩაუგდიათ კაციებს რას დაინდობდნენ. [illegible] წვავთ ცეცხლში და ჯოჯოხეთურის [illegible] საშინელი [illegible] წვილკივილი [illegible] სოფელ [illegible] დიანები სულ ამოუჟლეტიათ. გადარჩენილა მხოლოდ იქაური მცხოვრები მამად-ალი ფალავანდიშვილი თავისი შვილით. ფალავანდიშვილის უამრავი ქონება სულ რამდენიმე საათის განმავლობაში დაუტაცნიათ. გაუტაცნიათ აგრეთვე მილიონების სადიალო ცხვრის ფარები, საქონელი, პური და სხვ. თუ მართლა უბედურებით და ეს კუთხე ეჭრება და ერთმევა საქართველოს იქაურს ქართველობას თუ რაიმე პატრონობა ახლავე არ გაუწიეთ, მათ კიდევ მეტი უბედურება მოელით, რადგანაც ადგილობრივ ცხოვრების მოწესრიგებამდე, თუ ვინმე ოდესმე მას მოაწესრიგებს ბევრი დრო და ხანი გავა კიდევ.

## პრესა საქართველოს შესახებ

კარგი ხანია ტფილისში გამოდის ადგილობრივი გერმანელების ორგანო „კაუკაზიშე პოსტ". გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევა საქართველოს დიდი მეგობარი—ქართულსა და გერმანულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ბ. არტურ-ლაისტი. ამავე გაზეთში იბეჭდება (ხელმეორედ) კონიგსბერგელი პროფესორის ბორკის თხზულება „ქართველი ხალხი". (ეს წიგნი გამოიცა ლაიპციგში 1915 წელს.) პროფესორ ბორკის წიგნი გამსჭვალულია სიმპატიებით ქართველი ხალხისადმი. ჯერ კიდევ 1915 წლის ბორკი მოუწოდებდა გერმანიის პოლიტიკურ წრეებს, დროა მიჰხედოთ ამიერკავკასიაში რუსის ტირანიის კლანჭებში დატანჯულ ქრისტიანულ საქართველოსო". ამ წიგნის ქართულად გამოცემა აუცილებლად საჭიროა. ტექსტის მაგივრობას გასწევს თვით „კაუკაზიშე პოსტში" გადმობეჭდილი მასალა. საგულისხმო გამონაკლისს შეადგენს გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ." ტფილისის რუსული გაზეთები „ზნამია ტრუდა" და ძმანი მისი ჩვენს დედაქალაქში თავხედურად ეწევიან აგიტაციას ნორჩ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ასევე იქცევა თითქმის ყველა უცხოელთა გაზეთები ტფილისში. მხოლოდ გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი" აშუქებს ქართულ სინამდვილეს კეთილ სინდისიერად. 8 ივნისის მე-26 ნომერში მეთაურ წერილში გაზეთი ეხება ზავის შემდეგ მოსალოდნელ პერსპექტივებს და შემდეგსა სწერს: „ამგვარად ზავი ჩამოვარდა. პირობები საქართველოსათვის ფრიად საძნიოა, მაგრამ ასეა თუ ისე ჩვენ მომხდარი ამბების წინაშე ვსდგევართ. და ეს და დაგვრჩენია რომ სახელმწიფო და სამეურნეო ცხოვრების უკეთ მოსაწყობად ვიზრუნოთ.

განსაკუთრებით ჩვენ გერმანელებს გვეკისრება მრავალი საქმე. მაგრამ ჩვენზე მეტი ჩვენზე დიდი მუშაობა მართებს ქართველებსა და სხვა ამიერკავკასიელ ერებს. ყველაზე მეტი შანსი ამ დიდი საქმის აღსრულებისათვის ქართველებსა აქვთ. გერმანელების მფარველობით უნდა გასწიონ მათ კულტურულ მუშაობის ჭაპანი. ქართველებს დღესაც ჰყავთ მრავალი ნიჭიერი ახალგაზდა რომელთაც გერმანიაში აქვთ უმაღლესი სწავლა მიღებული, ინჟინრები, ტეხნიკები, ელექტრო-ტეხნიკები, მეურნენი და სხვ.

ეგენი შეუდგებიან თავიანთ სამშობლოს კულტურულ ცხოვრების გადახალისებას ამ უკანასკნელ წლებში დიდი სიმპატია დაიმსახურეს ქართველებმა გერმანიაში მიუხედავად იმ გერმანო-ფობურ აგიტაციისა, რომელსაც ეწეოდენ საფრანგეთისა და ინგლისის აგენტები, ქართველები იმთავითვე კეთილ გრძნობებით ეპყრობოდნენ გერმანულ კულტურასა და გერმანელ ხალხს. ამისთვისაც ისინი დიახაც ღირსნი არიან ჩვენი მეგობრობისა და ჩვენი სიმპატიებისა.

სომხებსაც, რომელთაც საკმაოდ შეზღუდული ტერიტორია უჭირავთ დღეს, დახმარებას აღმოუჩენს ალბად გერმანია, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული დიპლომატიური ნაბიჯები ესაჭიროება.

რაც შეეხება თათრებს მათი ბედები ნიადაგს უმზადებდნენ ადერბეიჯანის ოკუპაციას ოსმალოთა მიერ. ამ შემთხვევაში ვერავინ ახსენებს ვერც ოსმალოელთა კულტურის დადებით ზედ გავლენასა და ოსმალოელ მოხელეთა აღმზრდელობით მნიშვნელობას. ერთად ერთი „ბედნიერება" ადერბეიჯანისა ის იქნება რომ აქ მაჰმადიანი მოხელეები იბატონებენ. სამაგიეროდ მათ ხელი უნდა აიღონ ყოველივე ეკონომიურ პროგრესზე. რა გაიწყობა: ყველას თავისებურად ესმის სამოთხე".

## დავეხმაროთ სამშობლოს!

ჩემი ყრმობიდან ნანატრი და ოცნებით წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის აღდგენა დღეს ხორცშესხმული სინამდვილეა!

თავისუფალია საქართველო, ძენი და ასულნიმისნი სრულ უფლებიანი მოქალაქენი არიან დღეიდან კაცობრიობას სხვა ხალხთა შორის!

ამიერიდან ჩვენს მამაპაპათა სალო-

## ამიერკავკასია და საქართველო.

(დასასრული *)

აილეთ ჩვენი მწერლობა. იქ უნდა მოვძებნოთ ჩვენ ჩვენი უფლებრივი შეგნების დასაბუთება, რადგან აზროვნება მუდამ ლიტერატურაში სახიერდება, აქ კი რას წავაწყდებით? ჩვენი ს.-დ. მუშაობა უკულტურობის ნიშანს ატარებს. მთელ მათ წარსულს არ გააჩნია არც ერთი ტრაქტატი, რომ ქართველი ერის უფლებას ეხებოდეს და დადებითად სწყვეტდეს საკითხს. მათ არ დაუწერიათ არც ერთი ასო, რომ გამოეღვიძებინათ ქართველ ერში მიძინებული უფლებრივი შეგნება. ისე რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას შემდეგი: ჩვენი ს. დ. იდეური განვითარება, რამდენადაც მათი ლიტერატურა ჰმოწმობს, არ შეიცავს არც ერთ უფლებრივ იდეას, საქართველოს შესახებ. ამ მოვლენამ კი რუსეთის ბიუროკრატიას ხელი შეუწყო საქართველოს უფლებრივ მკვლელობის საქმეში, და ქართველი მასაც ალიზარდა ეროვნულ დისციპლინის გარეშე. მხოლოდ უმცირესობამ შეიგნო უფლებრივი მდგომარეობა, და უფლებაში ჰხედავდა უმაღლეს ღირებულებას. უმრავლესობა კი ერის უფლებას ყველაზე მეტად სდევნიდა, და მათი საქმიანობა წააგავდა იმ მონის საქმიანობას რომელიც მღეროდა: „ბატონისა ვარ ლადი ყმა, მტერო არ შეგიშინდები"-ო. ეს ბატონი რუსეთი იყო, ლადი ყმა—საქართველოს მშრომელი ხალხი. ეს ქართული ლექსი საუკეთესო ფორმულაა ჩვენი სოც.-დემ. მთელი მოქმედების და იდეურ შინაარსისა. და როდესაც რუსეთში ითქმებოდნენ ფორმულები შესახებ „კრიტიკულად მოაზრე", „შეგნებულ", „ყოველმხრივ განვითარებული", „რელიგიურ", „ეთიურ" და სხვა გვარ პიროვნების შესახებ, ჩვენში პიროვნების მაგიერ ერზე ვსაუბრობდით, როგორც შემკრებლობითი ინდივიდუალობაზე, რომლის თავისუფლების გარეშე პიროვნული თავისუფლება შეუძლებელია. რუსეთი მეორე საფეხურზე იყო, ჩვენ კი პირველზე. მათთან ერთად კი სცდილობდნენ სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენსა და რუსეთის მოქალაქეთა შორის არ არსებობდა თანასწორობა.

შესაძლო იყო გარეგნული მოწესრიგება სახელმწიფო ცხოვრების, ავრამ დროული. შინაგანი წინააღმდეგობა უსათუოდ დაარღვევდა ხელოვნურ შენობას. მაგრამ ეს გარეგნული მოწესრიგებაც ვერ მოხერხდა და ძველი იმპერიალისტური რუსეთი დაემხო. იწყობა ახალი ეტაპი, ახალი ხანა, და ჩვენც, საქართველოში. ამ ახალ ხანას ვეცდილობთ შევხვდეთ შესაფერისად. მაგრამ შევხვდებით კი? რუსეთის ბიუროკრატიამ დაასნეულა ქართველთა სული, გახრწნა ჩვენი ეროვნული სხეული, რაშიც ჩვენ ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ვრწმუნდებით. და იცით რას ნიშნავს საქართველოს ეროვნული დამახინჯება? იცით რა დიდი ნაკლია ეს არა ჩვენი ისტორიისთვის არამედ კაცობრიობისთვისაც, მსოფლიო ისტორია საქართველოსგან კი ვერ გამდიდრდება? საქართველოს თავისუფალი ცხოვრება რა ვიცით რას არ შექმნის, როგორ მდიდარ პირებს არ წარმოუშობს კაცობრიობას, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. დღეს კი, დღეს საქართველო საზარელ სურათს წარმოადგენს. ცოცხალთა სასაფლაოდ გადაქცეულა ჩვენი კისკასი ქვეყანა. ეროვნული თვით-მკვლელობის პროცესი ჯერ არ შენელებულა. ჯერ არ დასცდომია გამოფხიზლების გზას, დიდი ხნის მონობით გადაგვარებული ჩვენი ხალხი. საქართველოს ეროვნული გადაგვარების ტრაგედია იქამდეც მივიდა, რომ ასპიტ მტრის წინააღმდეგაც კი არ ამხედრდა და მონური სიმდაბლით მხდალ მტერსაც კი გაექცა. ასეთია ახსნა. მაგრამ უკეთესი არის, რომ ამოუცნობ სფინქსად მაინც დარჩენილიყო საქართველო. ის საქართველო, რომელმაც რუსეთის რევოლიუციისთვის ყველაზე დიდი ცეცხლი თავს ლამაზ მკერდზე დაანთო, მაგრამ საქართველოს განთავისუფლებისთვის კი დაიფერფლა და დაიშალა. და დღეს, როდესაც ჩვენს თვალ წინ იშლება საქართველოს ტრაგედიის უკანასკნელი აქტი, პირველად რუსეთის გამოფხიზლებაზე უფრო მეტს ვწერთ და ვლაპარაკობთ, ვიდრე საქართველოს ტანჯვაზე. ლამის არც კი გაგვახსენდეს კრწანისის ველი, სადაც საქართველომ უკანასკნელი სისხლის ნაღიმი გაუმართა გაავთრებულ მტერს და სისხლის ტბორში ჩაახრჩო საქართველოს თავისუფლების მტერთა დიდი ნაწილი.

დღეს კი გაოცარია საქართველო. მონებს სიმხდალეც შეგვისწავლია და საქართველოს განთავისუფლების ხომ ვერ გამოვიჩინეთ ვაჟკაცობა, საქართველის სასიკვდილო ხმალსაც კი არ ვაშველებთ ხელს, თუმც ხელში ხმალი გვიჭირავს.

აი ასეთი ღარიბი და ასეთი მახინჯი იყო ჩვენი ეროვნული მოძრაობა. მხოლოდ 26 მაისის თარიღი ღირსეულად აღიბეჭდება ჩვენი მატიანეს ფურცლებზე. ამ დღეს წერტილი დაესვა ქართველი ერის შეუგნებელ ხეტიალს, ამ დღეს გაირღვა ის მოჯადოებული წრე, რომელშიაც ქართველი ერი იყო მომწყვდეული, და იქ, სადაც ქართული სულისთვის ფარული გილიოტინა იყო აღმართული, იქ აღიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის ელვარე დროშა.

გათავდა ქართული ტრაგედიის ხანგრძლივი ანტრაქტი და დაიწყო უკანასკნელი მოქმედება. სცენაზე გამოდის ძველი რაინდი საქართველო, მოღლილი, მოქანცული. ირგვლივ მტერთა მტაცებელი ხელები არის გამოწვდილი. სურთ ცეცხლი დაუნთონ ყოველ მხრიდან და მის კვამლში გამოახრჩონ ფეხზე დამდგარი ძველი რაინდი. როგორ დასრულდება ეს უკანასკნელი მოქმედება არ ვიცით. ფინალი გამოურკვეველია. ვიცით მხოლოდ, რომ ძველ რაინდს საქართველოს წამოზრდილი შვილები უნდა დაერაზმნენ ყოველმხრივ და თავისუფლების სამსხვერპლოზე დაანაცრონ ყოველი მისი მტერი.

ომს აზრი არა აქვსო—ვამბობდით აქამდე. ამას იქით ამ სიტყვებს ველარ გავიმეორებთ. ამ ომს მიეცა აზრი და ეს აზრი საქართველოს თავისუფლების დაცვაა. რასაკვირველია, თუ მტერი ჩვენს დამოუკიდებლობას ანგარიშს გაუწევს და შესდგება, ჩვენ სიამოვნებით შევეცდებით მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიან ცხოვრების დამყარებას, ხოლო თუ მტერი გაზვავდა და მადა ახსნილად კვლავ წამოვა ჩვენზე იერიშების მოსატანად, ჩვენ, ჩვენი გულის ფიცარზე უნდა გადავამტვრიოთ მათი შუბები. და საქართველოს გავერანება მხოლოდ მაშინ უნდა გავხადოთ შესაძლებელი, როდესაც მტერი ჩვენს გვამებზე გადმოივლის.

კრწანისის და ასპინძის ომების გამეორებას თხოულობენ. ჩვენც ნუ დავტოვებთ გულნაკლულად. გაუმეოროთ. ბათომის სირცხვილი ნუ შეგვაშინებთ. იგი ჩოლოქის გამარჯვებამ გამოისყიდა და თუ ერთხელ კიდევ ჩოლოქისებურად დაუხვდებით მტერს, მგონი რომ კრიჰა შეეკვრება. რუსული ანდაზაა: „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ჰგონიათო". და თუ მოვიგონებთ ჩვენს ძველთა რაინდობას, თუ მოვიწვადინებთ ქართველობას ისტორიული შინაარსით, მტერს არ გავახარებთ და დამოუკიდებელ საქართველოსაც ღირსეულად დავიცავთ და უდარაჯებთ.

მაშ რევოლიუციის წითელ ეტლ გადავლილ ქართველობას ყვავილოვან მკერდზე ნუ გადავატარებთ შავი იმპერიალიზმის მძიმე გუთანს.

26 მაისი

ვახტანგ კოტეტიშვილი.

*) იხ. „სახალხო საქმე" № 253

ცავებში თავისუფალი სინდისით შევალთ, მოვისმენთ მშობლიურს ენაზედ ლოცვა ვედრებას და აღვმაღლდებით სულით!

ამიერიდან ჩვენ ნიჭიერ ბავშვთ, მშობლიურ ნიადაგზე აღვზრდილთ, ვერავინ ეტყვის: შენ უცხო ენას ქართული კილოთი ლაპარაკობ, გადაგვარებული არ ხარ და ამიტომ საგანში სუსტი ხარო, ღიახ, ამ გვარი შენიშვნით სისხლის ცრემლებს აღარ აწვეთებინებენ ჩვენს ნიჭიერ ბავშვებს და მიეცემა „ნიჭს გზა ფართო, თაყვანის ცემა, ღირსება“.

თავისუფალს საქართველოში მშრომელი გლეხი შეგნებულად და თამამად შევა სასამართლოს კარებში, თავის მშობლიურ ენაზედ თვითვე დაამტკიცებს თავის სიმართლეს.

დღეიდან მშრომელი ხალხის ნაშრომს ჩალის ფასად აღარ ჩაიგდებენ ხელში ჩარჩები. მშრომელი ხალხის ნამოღვაწევს გაუჩნდება პატრონი.

დიახ, ყველა ამ ბოროტებას მოეღება ბოლო და მოვიპოვებთ მრავალს სიკეთეს საქართველოს საუკეთესო შვილთა მეცადინეობით. მაგრამ მას განმტკიცება სჭირია, სამირკველის გამაგრება და ზედ მაგარი შენობის აგება.

სრულიად საქართველოს ასულნო— და ძენო ყველა ჩვენგანმა მოვიტანოთ ამ შენობისთვის, რაც კი საუკეთესო გვეგულებოდეს ჩვენი ჭნარით მოპოვებულ-მონაგრებული.

ვაქაცმა თავის მარჯვენა და სალი მკერდი, ვინაიდან ჩვენს ახლად შობილს თავისუფლებას მრავალი მტერი ჰყავს და მის საზღვრებს ცეცხლით და მახვილით გამაგრება და დარაჯობა სჭირია. ხოლო ჩვენ ქალებმა გამოვიღოთ ჩვენი მონაგარის ნაწილი, შეძლების დაგვარად, და მოვიტანოთ შენობის ადგილას.

თუმც ხუთასი წლის ომიანობით და მძიმე ცხოვრებით მოქანცულნი და გაძარცვულნი ვართ, დღეს ყველამ ეს დავივიწყოთ; ჩვენი ცხოვრება ახლად იწყება და ცხოვრების დასაწყისს ყოველმა ქართველმა შევიტანოთ ჩვენი შრომა თავისუფლების სამსხვერპლოზე.

„სახალხო საქმის“ რედაქციაში ვადგენ ვერცხლის სამღვდლო მკერდის ჯვარს. საქართველოს თავისუფლების ბრწყინვალე მზემ ყველა ქართველს კერძო ოჯახის შავი დღეები დაგვავიწყა და გაგვიქარვა.

ეს გადაეცეს ეროვნულ საბჭოს თავის ან თუ კარგ დროს მოსახმარებლად, ან ქართული ფულის მოსაჭრელად.

ამასთანავე ვადგენ კიდევ შავიდლისთვის შეგროვილს და გადადებულს 15 მ. ვერცხლს ფულს ჩემი ერთად ერთი ტრაგიკულად დაღუპულის ძმის აბრამ მათიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. მასაც საქართველოს სიკეთისათვის უძგერდა გული, მაგრამ ჯკუღმართ ბედის ჩარხის ტრიალმა უდროოდ მოსწყვიტა წუთისოფელს, დე საქართველოს თავისუფლება მისმა სულმა ცაში და ძვლებმა სამარეში იგრძნონ და გაიხარონ. ესეც ეროვნულ საბჭოს გადაეცეს.

ექ. იაშვილი.

რედაქციისაგან: რედაქციამ მიიღო მქ. იაშვილისგან ვერცხლის სამღვდლო ჯვარი და 15 მანეთის ვერცხლის ფული, რასაც დანიშნულებისამებრ გადასცემს.

# გორში

ის. რამიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობაზე მოხსენება წაიკითხა კვირას ივნისის 2-ს საზ. საკრ. საზაფხულო შენობაში. საქართველო წინად საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდა, საშინაოსაც და საგარეოსაც, და საკუთარი ძალღონით უძლებდა მტერსაც და მოყვარესაც. გარემოებამ გვაიძულა რუსეთს შევუერთებოდით. ქართველი ერი მიწვა და მიიძინა, დავკარგეთ უნარი საგარეო პოლიტიკის წარმოებისა და ეს დღეს ნათლად დავამტკიცეთ. თვითმპყრობელობა სულს უხუთავდა რუსეთს. თვითმპყრობელობა რუსეთში რევოლუციამ დაამხო, მაგრამ რევოლუცია არ იყო ხალხის გულიდან ამონახეთქი. იგი მოიტანა ომმა და საშიში იყო იგი რომსავე არ წაეღო. საჭირო იყო ნაზი და მასთან ძლიერი ხელი, რომ თავისუფლების ყვავილი ძლიერი გველეშაპის კლანჭებიდან გეინთავისუფლებინა. ეს ხელი ვერ გამოჩნდა და რუსეთში რევოლუცია დაიღუპა. ოქტომბერში რუსეთს გაუჩნდა ახალი მთავრობა, რომლის სახელი არავინ იცის, იგი ბოლშევიზმს იწოდებს სახელად, მაგრამ იდეური ბოლშევიზმი აღარსადა სჩანს. ამ მთავრობამ თვის გაჩენის პირველ დღიდანვე გააშიშვლა რუსეთის ფრონტი, და შინ სოციალიზმის დამყარება და სამოქალაქო ომის გაჩაღება დაისახა მიზნად. მიზანს მალე მიაღწია, მოსწყვიტა ჯარი ფრონტს, გარყვნა და გაათახსირა იგი და შინ ხალხს, ფაბრიკებსა და ქარხნებს მიუსია სოციალიზმის განსახორციელებლად. და „სოციალიზმი დაამყარეს“, გაძარცვეს და ჩაალრჩვეს სისხლში რუსეთი; იგი ლობე შემოძარცვულ ბოსტნად გარდააქციეს, სადაც გახულიგანებულმა ჯარმა, ამ მსუნაგმა პირუტყვმა შესანსლა ყოველნაირი მცენარეულობა. გაძარცვეს და დაამხეს რუსეთი და მისი საუკეთესო, დიდი ნაწილი გერმანიას და ავსტრიას გადაულოცეს. ეს არ იკმარეს და ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების დროს ამიერ-კავკასიის სამი ოლქი „სათათრეთს მიართვეს—ბათომი, ყარსი და არტაანი. ჩვენ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა არა ვცანით და იძულებული შევიქენით, რომ თათრებთან საზავო მოლაპარაკება გაგვემართა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. თვე-ნახევარი ველაპარაკეთ თათრებს ტრაპიზონში, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. დიდიხანია ოსმალეთი რუსეთის სუსხსა და შიშს განიცდიდა და ეხლა იხელთა დრო, რომ ამიერკავკასიისთვის რამე წაეგლიჯა. ოსმალეთმა მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის თამასუქის განაღდება. ორი გზა გვედო წინ: ან უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდით დაგვეთმო სამი ოლქი და მტერი შემოგვეშვა, ან აგვეღო იარაღი და შევბრძოლებოდით. და რადგან თათრების ჩვენში შემოსვლა ჩვენი თავისუფლების და რევოლუციის დაღუპვას უდრიდა, ჩვენ ვამჯობინეთ ღირსეულად დამორჩილებას გმირულად დაღუპვა. ომის წინ რუსეთის დემოკრატიის მოწოდებით მივართეთ—დაგვეხმარებოდა. ბაქოს ბოლშევიკებმა შემოგვითვალეს—იცანით რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა და ვნახოთ მერმე თათრები შემოვლენ თუ არა. რუსეთიდან კომისარმა იოფფემ მოგვწერა—თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გადასცეთ ოსმალეთს სამივე ოლქი და თუ მერმე ოსმალნი წინ წამოვლენ, კავკასიონის ქედამდეც რომ მთელი ამიერკავკასია დაიპყრონ, მაინც ხმა არ ამოიღოთ, ჩვენ მათ პროტესტს გამოუცხადებთო. კაცი რომ მოჰკლათ, შეიძლება ვინმე ვინმეს პროტესტი გამოუცხადოს, მაგრამ ამით თავი ტანზე ხომ ვეღარ მიებმის?... ჩვენ ომი გამოვუცხადეთ ოსმალეთს და საკუთარ ძალას დავეყრდენით. ჩვენმა ჯარმა ვერ გაუძლო და ბათომი დაეცა. მიზეზი ის არის, რომ ჯარი ახალი იყო, თოხიდან გაწყვეტილმა გლეხმა თოფი ვერ მიხმარა, გაჩნდა პროვოკაციაც, ჯარი კარგად ვერ შევაიარაღეთ, მთავრობა ახალი იყო და გამოუცდელი და ბათომი დავკარგეთ. ოსმალეთთან ისევ მოლაპარაკება გავაჩაღეთ, მაგრამ ერთსულოვანი არ აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის ერნი. ძმობასა და ერთობას გვეფიცებოდნენ და თავიანთ საქმეს კი თურმე ჩუმად აკეთებდნენ. „მუსსავათის“ წევრნი ჩუმად აწვდიდნენ ცნობებს ოსმალოებს და გზას უჩვენებდნენ, როგორ დაეპყროთ ამიერკავკასია. გაუმაძღარი და თავხედი აღმოჩნდა ოსმალეთიც. მან სამი ოლქი აღარ იკმარა და ჩვენი თავისუფლების დაღუპვა და შინაურ საქმეებში ჩარევა მოიწადინა. სამი ოლქი ხომ ჩემია და ჩემი, მანდ რაღაც ანარქიაა გამეფებული, რევოლუციას რომ უძახით, ამ ანარქიისაგან ზარალდებიან თათრები, უნდა შევებრძოლო მაგ ანარქიას და წესიერება დავამყაროო. სომხები ბაქოში ბოლშევიკებს მიუდგნენ. ამან ეროვნული ხასიათი მიიღო და 7,000 კაცი, ნახევარზე მეტი სპარსელი მეკურტნე მუშა, შეიწირა. ეს დაიხვია თითზე ოსმალეთმა და ახალი მოთხოვნილება წამოგვიყენა. თათრები გაწვეიდნენ და სომხეთის დიდი ნაწილიც ხელში ჩაიგდეს ოსმალოებმა. ჩვენ დავრჩით მარტო და საკუთარ თავზე უნდა გვეზრუნა. სხვა გზა არ იყო და დამოუკიდებლობა უნდა გამოგვეცხადებინა. საქართველომ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა კიდეც თავი 26 მაისს. შევთანხმდით ყველა, მაგრამ ყველა ერთნაირ შინაარსს არ აძლევს საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩვენ, მენშევიკები, მაგალ. გულის ტკენით შევხვდით ამას. ამასა ჰმოწმობდა ირაკლი წერეთლის, ჟორდანიას და სხვ. გადაფითრებული სახე. შევძლებთ საკუთარ ფეხით სიარულს და თავისუფლების შენარჩუნებას? ერთია აღსანიშნავი: იმ დღეს ჩვენი ორატორები თავიანთ სიტყვებში თითქოს ვიღაცას წინაშე იხდიდნენ ბოდიშს, თითქოს ვიღასიც წინაშე ჰგრძნობდნენ დანაშაულს. ეს ვიღაცა— სომხები იყვნენ. მაგრამ წინა დღით სომხის წარმომადგენელნი თვითონ იყვნენ ჩვენთან და გამოგვიცხადეს— ერთად ყოფნა, რასაკვირველია, კარგი იყო, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქმნა, გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ თათრები დაგვერევიან, გვერდში მაინც გვეყოლება თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც თავს შევაფარებთ და თქვენც, გვწამს, ძველებურად გაგვიწევთ მასპინძლობასო. ამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ, როგორც პატარა ერს, თავი ვინმესთვის უნდა შეგვეფარებინა, ჩვენ ჩვენსა და ოსმალეთს შორის გერმანია ჩამოვიყენეთ და უკანასკნელმაც აღგვითქვა მფარველობა. მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ გულხელი დავიკრიბოთ და სხვას დავუწყოთ შეყურება. უნდა დავირაზმოთ და ბრძოლისთვის მოვემზადოთ, რომ მტერს ლაგამი ამოვდოთ.

საქართველო რომელიმე პარტიას არ ეკუთვნის, საქართველო ყველას კუთვნილებაა და თუ დაიღუპა იგი, დაიღუპება არა მარტო ისიდორე რამიშვილისთვის, არა ნოე ჟორდანიასთვის, დაიღუპება თქვენთვის, ყველასთვის. რევოლუციამ თქვენ მოგანიჭათ უზენაესობა, თქვენ ამოირჩიეთ მთავრობა. თითოეული პარტიაც, მთავრობაც თქვენ, ხალხს გემსახურებათ და ხალხმა უნდა დაიცვათ სამშობლოს ქართველ ერს შესწევს ძალიცა და ღონეც მტერთან საბრძოლველად. ეს დაამტკიცა 5 და 8 აპრილს ნატანების ბრძოლამ, სადაც ქართველების პაწია რაზმმა ორი ათასამდე თათარი იმსხვერპლა.

ქართველ ჯარს შესწევს ბრძოლის უნარი, ოღონდ გასწმინდეთ იგი მავნე ელემენტისგან, კარგად შეაიარაღეთ და ჩააცვით, ოღონდ იცოდეს, რომ მისი ცოლი და შვილი შინ სიმშილ. არ განიცდის, ოღონდ იცოდეს, რომ მათთვის ზრუნავენ და ჯარს საზოგადოება, ხალხი უმაგრებს ზურგს... და ქართველი ჯარი გაიმარჯვებს..

მომხსენებელი დიდძალმა საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

რამიშვილის შემდეგ მოკლე სიტყვა სთქვა ვ. ქარცივაძემ. ეხლა საზავო მოლაპარაკებაა. ხმაც გავარდა, რომ გერმანიამ აღუთქვა დახმარება საქართველოსო. ჩვენმა საზოგადოებამ ამით გული არ უნდა დაიმშვიდოს და უზრუნველობას არ მიეცეს. მზადება და დარაზმვაა საჭირო. ნუ გვექნება იმის იმედი, რომ გერმანია ოსმალეთს შეეტაკება. გერმანია ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას დღეს ვინმე ჩამოსცილდეს, დაიღუპება. ეს იცის ოსმალეთმა და ადვილად შესაძლებელია თავად წარუდგინოს გერმანიას ულტიმატუმი—დამანებე ამიერკავკასია, თორემ ჩამოგშორდები და ინგლისს მივემხრობიო. გერმანია ამას ანგარიშს გაუწევსო.

ბოლოს ისევ ის. რამიშვილმა მოკლედ ილაპარაკა ოსთა ეროვნულ ყრილობაზე, რომელზეც თვითონ დასწრებია და მოხსენება წაუკითხავს, ოსთა ეროვნული ყრილობა შეიკრიბა ჯავაში. დაესწრო 72 წარმომადგენელი. როგორცა სჩანს ბოლშევიზმს ძალიან ჰქონია ოსთა შორის ფეხი მოკიდებული. პრეზიდიუმში აირჩიეს ერთი სოც.-რევოლიუციონერი და დანარჩენი სულ ბოლშევიკები. მენშევიკები ისე შესძულებიათ, რომ ხალხათაც აღარა სთვლიან. გამოირკვა, რომ ატმოსფერო მეტად შეხუთულია და მოშხამული. ჩვენს დამოუკიდებლობას მაინცა და მაინც დიდი თანაგრძნობით არ ეკიდებიან. მომცეს კითხვა, თუ რა ელით ოსებს დამოუკიდებელ საქართველოში, ვუპასუხე—რომ ისინი ისევე იცხოვრებენ თავისუფლად, როგორც სცხოვრობდნენ აქამდე. ძველად ოსეთი საქართველოს ნაწილად ითვლებოდა, ხოლო ისევე დარჩება თუ ისურვებთ, თუ არა და თქვენი ნებაა, თვითგამორკვევის უფლება გაქვთ და რომელი ორიენტაციაც გსურთ ის ამოირჩიეთ, ოღონდ დაფიქრდით და ნუ აჰყვებით გრძნობას შეთქი. მაძლევდნენ ამგვარ კითხვებსაც—რით განირჩევა ნიკოლოზ მეორისაგან ვილჰელმი? რად აირჩიეთ გერმანია და არა ინგლისი და სხვ. ჩრდილო კავკასიის ოსთა წარმომადგენელმა უნუგეშო მდგომარეობა დახატა. რუსეთსა და ჩრდილო-კავკასიაში საქმე ცუდად არის. ჩვენი იმედი აქაურ ოსობას ნუ ექნება, პირიქით ჩვენ გამოვიყურებით თქვენსკენ და დახმარებას ველითო. ტფილისიდან კრებაზე სამი ბოლშევიკი ამოვიდა. იქვე იყვნენ შემალული ბნელ ოთახში და იქიდან წყალს ამღვრევდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ბოლოს და ბოლოს საქმემ უფრო სასურველი ელფერი მიიღო, ხალხმა მეტი შეგნება გამოიჩინა პირობად მოგვთხოვეს—მთავრობა სოციალისტების ხელში იყვეს, თორემ თავად-აზნაურობა ისევ გაბატონდება და მუსრს გაგვავლებსო. საბოლოო რეზოლიუციად რა დაასკვნეს არ ვიცი, რადგან მე ადრე წამოვედიო. ბოლოს მომხსენებელი სთხოვდა ხალხს, თუ ცხინვალის ამბების შემდეგ რამე ძვირი გიდევთ გულში ოსობაზე, ამოირეცხეთ და დაივიწყეთ. თბილი გული და წრფელი გრძნობა მივუძღვნათ ოსის ხალხს და ერთად და თანხმობით ვიაროთ—ეს ჩვენი ერთობისთვის საჭირო და აუცილებელი არისო. ასეთი იყო მოკლედ ამ მოხსენების შინაარსი. ხალხმა მოხუცი ტრიბუნი კვლავ ტაშით დააჯილდოვა.

ხანგანიძე.


გამომცემელი
სამხედ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
მ. მ. მუხაძე
[illegible] 1030

ექიმი
მ. მესხიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრავის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
ს. დ. მაღამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოსავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოებს, სიფილისის (შეშხაპუნება 606—9.4) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—$1^{1}/_{2}$ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] იღებს 4—6 ს., [illegible] სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხხლის ნაკლებობით, ჭლექით, ფილტვით, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მთაწმინდის ქ. № 11. 426

ექიმი
პაველ არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ოთახი. 1002

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ყარამანიძე
[illegible]

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. [illegible]თოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—[illegible] 1161

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—1[illegible]
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. [illegible] ქირურგიული და ვენერიული (სიფილისი) ავადმყ.)
გ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. ავახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალების ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ იჯარით არის გასაცემი ქალაქის სასწავლებლების და სხვა შენობების რემონტი. ვაჭრობა დანიშნულია სამშაბათს, ივნისის 11-ს შუადღის 12 ს. გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში. მუშაობის პირობები გაგება შეიძლება იქვე. 1165

სამეურნეო ნაწარმოებთა გამსაღებელი და მეურნეობისთვის საჭირო მასალის
შემძენი კოოპერატივთა კავშირი
აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლად სამეურნეო ნაწარმოებს (ხორბალი, ფქვილი, ხილი, შეშა, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს როგორც ბითუმად (პარტიობით) ისევე წვრილწვრილად.
კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელ. 6—22. 60[illegible]

„სახალხო საქმის“
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 „ |
| ლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ |
| გრძემლი წ. I | 8 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — 60 |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ 20 |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“. | — 40 |
| ლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ | — 50 |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.